თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

ოქმი N3

ქ. თელავი 2019 წლის 15 თებერვალი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: დავით ღაღანიძე

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **გიორგი ჩაბრაშვილი, ზაქარია ყარასაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, ზურაბ მუსაევი, ბესიკ ქოჩიშვილი, ვასილ არაბული, ალექსანდრე კუპატაძე, არჩილ თვალიაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ლევან ბერძენაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენელთა საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების უმცროსი სპეციალისტი (ძველი თელავის ადმინისტრაციული ერთეული) ნათია ბაგაური, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენელთა საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების უმცროსი სპეციალისტი (ცენტრალური თელავის ადმინისტრაციული ერთეული) ნინო აბუევი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენელთა საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების უმცროსი სპეციალისტი (აღმოსავლეთ თელავის ადმინისტრაციული ერთეული) ნანა გიგაური, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენელთა საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების უმცროსი სპეციალისტი ალაზანი-კავკასიონის ადმინისტრაციული ერთეული) ნათია წიფლაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი მედეა ჩაფურიშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიაში მოწვეული სპეციალისტი დავით ნუსხელიძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ პროექტის განხილვა.

მომხს. დ. ღაღანიძე

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ პროექტის განხილვა.

აზრი გამოთქვეს: დავით ღაღანიძემ აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შექმნილმა დროებითა სამუშაო ჯგუფმა გარკვეული სამუშაოები ჩაატარა თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების დგომის და საგზაო ნიშნების განთავსების შესწავლის კუთხით. დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული იქნა თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესი და პარკირების საფასურის დადგენის პროექტი.(შემდგომში წესის პროექტი)

მედეა ჩაფურიშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სამართლებრივი კონსულტაციისათვის გადაეგზავნა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულ დეპარტამენტს, რომელმაც 2019 წლის 3 იანვრის GOV11900000104 წერილით გვაცნობა საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებული შენიშვნების შესახებ.

წერილში აღნიშნულია, რომ დადგენილების პროექტის მიღება შესაძლებელია თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მისი გადამუშავების შემდეგ.

წარმოდგენილ გადამუშავებულ დადგენილების პროექტში მთლიანად არის გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მიერ გამოთქმული შენიშვნები და შესაძლებელია წარედგინოს საკრებულოს ბიუროს განსახილველად.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე _____ დავით ღაღანიძე